"მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...



# ნიკოლაძის გზით

ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 1 (291) 3 თებერვალი ხუთშაბათი, 2021 წელი; ფასი 1 ლ.

გავაცილოთ სევდიანი, ტკივილიანი 2020 წელი, რომელსაც ჩვენი უახლოესი ადამიანების სიცოცხლე გაჰყვა და იმედით შევხვდეთ 2021 წელს – სიცოცხლის, განახლებისა და სიკვდილზე გამარჯვების წელს!



## 2021 წელი ხარის წელია

...„ნეტავი, ღმერთო, მეც მომცა ჯანი და მადა ხარისა,
სიტყვა — ხარივით გამწევი მამულის გასახარისად.
ვიყო ხარივით ამტანი, ვიყო ხარივით მომთმენი,
ჩემი პატარა ქვეყნისთვის მეც შევძლო ხარისოდენი"...

## 4 იანვარი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის დაბადების დღეა.

44 წელი მძიმე ჯვრით ხელში

მე-4 გვ



## 30 წლიანი რევოლუციური ეპოქის დასასრული და ევოლუციის დასაწყისი



ბიძინა ივანიშვილი წავიდა, მაგრამ ვის დაუტოვა იმედდაკარგული და ღარიბი ხალხი?

მე-2 გვ



## ქალაქ ფოთში შემოვლითი-სატრანზიტო გზის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთების დოკუმენტზე მიმდინარეობს მუშაობა

ახალ პორტებს-ახალი ინფრასტრუქტურა სჭირდება

მე-2 გვ

## ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით

ფოთელ,ცნობილ ექიმებს ალექსანდრე გოგინავასა და ლევან რატიანს ფოთის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭათ.



მე-3 გვ

## 14 იანვარი ქართული თეატრის დღეა

მე-3 გვ





## 2021 წელი ახალი ამოცანებითა და გამოწვევებით იწყება

მე-3 გვ

ქალქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფოთის საპატიო მოქალაქე, სათათბიროს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, მილიციის თადარიგის პოლკოვნიკი

**ბეჟან ჯალაღანია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ქალქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფოთის საპატიო მოქალაქე, შინაგანსაქმეთა სამინისტროს ვეტერანი მუშაკი

**ანზორ მილორავა**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ქალქ ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბირო, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სათათბიროს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, ფოთის საპატიო მოქალაქე,

**ბეჟან სენოს ძე ჯალაღანია**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფოთის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენოსანი, ფოთის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ყოფილი დირექტორი, დამსახურებული პედაგოგი

**ფოთოლა ქაჯაია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



## მშვიდობით თქვენო აღმატებულებავ – ბატონო პოლკოვნიკო!

ბეჟან ქსენოს-ძე ჯალაღანიას არდავიწყებას!

მე-6 გვ

## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე -ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრში

ფოთოლა ქაჯაიას სახელობის მხატვრული კითხვის კაბინეტი გაიხსნა

მე-2გვ



# 30 წლიანი რევოლუციური ეპოქის დასასრული და ევოლუციის დასაწყისი

## ბიძინა ივანიშვილი წავიდა, მაგრამ ვის დაუტოვა იმედდაკარგული და ღარიბი ხალხი?



დემოკრატიის 30 წელმა ბევრი გაკვეთილი მოგვცა ანალიზისა და დაფიქრებისათვის. ძალიან გაჭირდა სამართლიანი სახელმწიფოს მშენებლობა მიტინგებითა და რევოლუციით მოსული ხელისუფლებებისგან.

პარადოქსია, მაგრამ დამოუკიდებელი ქვეყნის 30 წელი დემოკრატიის მთავარი ამოცანა გახლდათ პოლიტიკიდან ხელისუფლებების ჩამოცილება. ეს იყო ბედნიერება, მავანზე გამარჯვებისა, თუმცა, არავინ ფიქრობდა, რომ ახლადარჩეული უარეს დღეს აყრიდა და ჩამოსაგდები გახდებოდა.

მოკლედ, სულ ბრძოლაში ვიყავით. რევოლუციურ ტალღაზე მოსულმა ხელისუფლებამ ხალხი დაივიწყა, ჩინოვნიკები უკიდურესად გამდიდრდნენ. დემოკრატია ერთპიროვნულ მმართველობაში გადაიზარდა და მხოლოდ არჩევნებში განზოგადდა, როცა ამომრჩეველი საარჩევნო ხმად იქცა და სხვა ღირებულება დაკარგა. სახელმწიფო სადავეები ერთი ჯგუფის ხელში მოექცა, ამ ქვეყნის ქონების სრული მეპატრონე გახდა პარტია, სახელმწიფოს შეეზარდა ყველა სტრუქტურით,-სასამართლო, პროკურატურა და ა.შ. ჩამოყალიბდა საერთო კორუფციული სივრცე.

დროდადრო სახელდახელოდ იქმნებოდა პარტიები, როგორც კონგლომერატი. არავითარი იდეური საფუძველი-ერთიანობისათვის. პარტიაში ყოფნა პირდაპირპროპორციული იყო თანამდებობაზე ყოფნასთან, რაც შავ ლაქად დარჩება ქართული დემოკრატიის ისტორიაში.უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, თუნდაც ბოლო პერიოდიდან - გიორგი ვაშაძის პარტიული ლიდერობა და მოულოდნელი გაქრობა პოლიტიკური ასპარეზიდან. კაცი, რომელსაც პრეზიდენტობაზე ჰქონდა პრეტენზია, ეს არის ამბიცია, პირადი კეთილდღეობისათვის ბრძოლა დემოკრატიის საფარქვეშ.

ჩვენი 30 წლიანი ისტორია რა მოსატანია, როცა დემოკრატიის შუქურა- ამერიკა კაპიტოლიუმის შტურმზე გადავიდა. ასე, რომ წინ კიდევ დიდი გაკვეთილი გველის და კიდევ დიდხანს ვისხდებით საარჩევნო მერხებთან.

სააკაშვილის დამნაშავე რეჟიმის გაკვეთილები,საკმარისი უნდა ყოფილიყო დემოკრატოიულ რელსებზე გადასასვლელად, მაგრამ ასე არ მოხდა. ამ რეჟიმთან კოჰაბიტაციამ, მისი რეანიმაცია გამოიწვია და პრეტენზია აქვს ხელისუფლებაში დაბრუნებაზე. სამწუხაროდ, ,,ოცნება" ბევრი რამით დაემგვანა წინამორბედს.ქვეყანა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისშია, რასაც კიდევ უფრო ამწვავებს საუკუნის პანდემია. არადა, შეიძლებოდა სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება პროფესიონალებით და არა ერთგული პიროვნებებით.

გასული წელი თითქოს გარდამტეხი უნდა ყოფილიყო დემოკრატიის გზაზე კოალიციური მთავრობით და ახალი პარტიებით. არადა, მივიღეთ ერთპარტიული პარლამენტი. მთავრობა და ძალაუფლება ერთი გუნდის ხელშია. ორი კაცის შემატებით მიღებული მრავალპარტიულობა დეკორაციის როლშია.

ბიძინა ივანიშვილმა დატოვა პარტია,სახელმწიფო გადააბარა ძლივს მოგებული არჩევნების მერე და ამით ხალხის ნდობაც ამოწურა. იქნება თუ არა ეს არაფორმალური მმართველობის დასასრული, ამას დრო გვიჩვენებს. ასეა თუ ისეა, ბიძინა ივანიშვიმა შეაჩერა ნეოფაშისტური ძალები. მას ბევრი რამ აქვს გაკეთებული ქვეყნისთვის ქველმოქმედების სახით, მისი დაუნახაობაც დიდი უმადურობა იქნებოდა. მთავარია, ქვეყანა დაადგეს სამართლიანი სახელმწიფოს მშენებლობის გზას. ხელისუფლებაში მოვიდნენ ახალი ძალები, ამბიციური პროგრამებით, ეროვნული სულისკვეთებით, პროფესიონალიზმით.

წარსულს უნდა ჩაბარდეს პარტიებად დაყოფილი ქვეყანა, პოლიტიკური კინკლაობა. ცხოვრებამ აჩვენა რომ პარტიის ჩამოყალიბება ურთულესი პროცესია.

,,ოცნება" შექმნა 2012 წელმა, ეს იყო ხალხის უკმაყოფილობის ტალღა, რომელიც წალეკავდა ყველაფერს,მიუხედავად იმისა,ვინ იქნებოდა სათავეში. ასე, რომ ეს პარტიაც მოვიდა ეიფორიულ ტალღაზე და ეს სტიქიაც მინელდა.

პარტიის რესურსებიც იწურება, მისმა ლიდერმა ოპოზიციაში ყოფნა დაანაოსნა. მოვლენ კი ახალი ძალები, ოლიგარქის ფინანსური მხარდაჭერის გარეშე? დამთავრდება ავტორიტარიზმი? დიქტატურა და ტოტალიტარული მმართველობა, თუ ისევ ძველ განზომილებაში ვიცხოვრებთ - დავცილდებით ევროპულ ღირებულებებს.

იცვლებიან მთავრობები, პრემიერები, პრეზიდენტები, ხალხის მდგომარეობა უცვლელია, არადა, ის არის ძლაუფლების წყარო. რომელიც არც თუ ისე სასიკეთოდ შემოუბრუნდა.

გაუძლებს ხალხი ოცნების ზღვარზე ცხოვცრებას?

ეს გზა ევროპამდე მიგვიყვანს?

ზ. აბრალავა

## სამადლობელი ექიმებს



ექიმობა საპასუხისმგებლო პროფესიაა, ამას განსაკუთრებით ვაცნობიერებთ მაშინ, როცა ჩვენი სიცოცხლე საფრთხეშია და ექიმებს შევყურებთ იმედის თვალით.

ესენი გახლავთ ადამიანები, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებენ სიცოცხლის გადასარჩენად. მინდა მადლობა გადავუხადო გულისხმიერებისათვის ქალაქის პატივცემულ ექიმებს, ქნ-ებს **დარეჯან დვალს,ლუარა ჯახიას, ნინო ქანთურიას.**

ვუსურვებ წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში და ოჯახურ ბედნიერებას.

თქვენი ცხოვრება ნათელი მაგალითია ხალხის უანგარო მსახურებისა, პროფესიისადმი ერთგულება და სიყვარული მიუთითებს თქვენს მაღალ მოქალაქეობრივ პოზიციაზე.

დამაიმედებელია თქვენი ყოფნა ქალაქში - რწმენისა და იმედის ეტალონი ბრძანდებით დიდო ქალბატონებო.

გაიხარეთ, დაგელოცოთ მარჯვენა.

პატივისცემით

ბ ი ა ტ ა (მანანა) ცაავა.

## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე -ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრში ფოთოლა ქაჯაიას სახელობის მხატვრული კითხვის კაბინეტი გაიხსნა




ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე -ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრში **ფოთოლა ქაჯაიას** სახელობის მხატვრული კითხვის კაბინეტი გაიხსნა, 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით კი მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პრეზენტაცია სახელწოდებით - "მე ამ ქალაქში დავიბადე საპატიო მოქალაქედ ფოთოლა ქაჯაია" ჩვენება გაიმართა, რომელსაც ქალაქის მერი გოჩა კურდღელია,საკრებულოს თავმჯდომარე ბექა ვაჭარაძე და მერის მოადგილეები ესწრებოდნენ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრის შენობის ფასადზე საზოგადო მოღვაწის, ფოთოლა ქაჯაიას ხსოვნის უკვდავსაყოფად, მემორიალური დაფა განთავსდება.

**ფოთოლა ქაჯაიას** კულტურის დარგის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის. ის გახლდათ ქალაქის კოლორიტი, ღირსების ორდენის მფლობელი, ფოთის საპატიო მოქალაქე, მრავალი თაობის აღმზრდელი, უანგარო, ენერგიული და ყველასთვის საყვარელი ფოთოლა მასწავლებელი.

## ქალაქ ფოთში შემოვლითი-სატრანზიტო გზის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთების დოკუმენტზე მიმდინარეობს მუშაობა.

### ახალ პორტებს - ახალი ინფრასტრუქტურა სჭირდება



მიუხედავად გლობალური პანდემიისა, აქტიურად მიმდინარეობს, ქალაქ ფოთში შავი ზღვის სანაპიროზე არსებულ ნავმისადგომებთან, საწარმოებთან და თავისუფალ ინდუსტრიულ ზონასთან დამაკავშირებელი შემოვლითი-სატრანზიტო გზის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტზე მუშაობა .

შპს "კოკს კონსალტი"-ს საქართველოს ფილიალის მიერ 2021 წლის 15 მაისამდე უნდა მომზადდეს, ქალაქ ფოთში შავი ზღვის სანაპიროზე არსებულ ნავმისადგომებთან, საწარმოებთან და თავისუფალ ინდუსტრიულ ზონასთან დამაკავშირებელი შემოვლითი-სატრანზიტო გზის სამი სავრაუდო ვარიანტი, ტვირთბრუნვის 20 წლიანი განვითარების პროგნოზით.

ფოთში ახალი ალტერნატიული შემოვლითი გზის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და პროექტირების თემაზე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერთან გოჩა კურდღელიასთან გამართულ შეხვედრაზე იმსჯელეს, რომელსაც ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია, მერის მოადგილე კონსტანტინე თოფურია, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და შპს "კოკს კონსალტი"-ს საქართველოს ფილიალის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აღნიშნულ თემაზე შედგა ონლაინ განხილვა, რაშიც ტერმინალს ოტი-ის ხელმძღვანელობაც ჩაერთო.

ქალაქ ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და შპს „კოკს კონსალტი"-ს წარმომადგენლებთან ერთად ის ტერიტორიები დაათვალიერა, სადაც სავარაუდოდ ალტერნატიული გზა გაივლის.

ფოთის ნავსადგურში გაზრდილმა ტვირთბრუნვამ, მძიმეწონიანი ავტომობილების გადაადგილების ინტენსივობამ, დღის წესრიგში დააყენა ახალი გზის მშენებლობის აუცილებლობა, რომელიც ნავსადგურის ტერმინალებს, თავისუფალ ინდუსტრიულ ეკონომიკური გაფორმების ზონებს, ქალაქის დასახლებული უბნების გვერდის ავლით ცენტრალურ ავტომაგისტრალთან დააკავშირებს.

ამჟამად, ქალაქ ფოთში არსებული ნავსადგურების ტვირთბრუნვა რვა მილიონ ტონას შეადგენს. ამასთანავე მიმდინარეობს ორი ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობა.

კომპანია აცე როუპ- მიერ მიმდინარეობს 650 მეტრი სიგრძის ნავმისადგომის მენებლობა. პროექტის ღირებულება 123 მილიონი დოლარია, მათ შორის 50 მილიონი დოლარი ფინანსდდება აშშ-ს მთავრობის კერძო ინვესტიციების კოორპორაციის (OPIC) მიერ. სამშენებლო სამუშაოები უკვე დაწყებულია.

ამასთანავე, კომპანია ტერმინალს ოტი-ის მიერ მიმდინარეობს ახალი ღრმაწყლოვანი ნავმისადგომების მშენებლობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტზე (გზშ) მუშაობა. პროექტი მოიცავს 700 მეტრი ნავმისადგომის და 1700 მეტრი დამცავი მოლოს მშენებლობა.სამშენებლო სამუშაოების დაწყება დაგეგმილია 2021 წლის აგვისტოში.პროექტის ღირებულება 375 მილიონ დოლარს შეადგენს. პროექტის დასრულების ვადა სამი წელია.

აღნიშნული პროექტების შედეგად,ქალაქ ფოთში ნავმისადგომების ტვირთბრუნვა გაიზრდება 7 მილიონი ტონით,შეიქმნება დამატებით 10 000 სამუშაო ადგილი, განვითარდება საატრანსპორტოლოჯისტიკური ინფრასტრუქტურა.

## 2021 წელი ახალი ამოცანებითა და გამოწვევებით იწყება



ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში გამართულ თათბირზე 2021 წლის სამუშაო გეგმა იქნა განხილული. თათბირს ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია უძღვებოდა.

„2021 წელი ახალი ამოცანებითა და გამოწვევებით იწყება. ყველა გარდამავალი პროექტი უნდა გაგრძელდეს შესაბამისი სტანდარტის დაცვით."–განაცხადა ქალაქ ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ. მისი თქმით გარდამავალი პროექტების გარდა, დაგეგმილი ახალი პროექტები ძირითადად ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება და ტენდერებიც მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადდება.

მერმა ქალაქში არსებულ პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება და სამსახურების ხელმძღვანელებს მათი აღმოფხვრის მიმართულებით დავალებები გააცნო.

2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 20 მილიონ 792 ათასი ლარით დამტკიცდა, რაც 1 მილიონ 444 ათას 600 ლარით მეტია 2020 წლის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით.

მიმდინარე წელს ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე 4 მილიონ 965 ათასი ლარი, ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალური უზრუნველყოფაზე – 2 მილიონ 604ათასი ლარი; განათლების სფეროზე–3 მილიონ 352 ათასი ლარი, კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი, 3 მილიონ 239 ათას 400 ლარი დაიხარჯება.

## ახალი სოციალური პროგრამები 2021-2024 წლების პრიორიტეტების

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მთავარი საფინანსო დოკუმენტი, ქალაქის პროგრამული ბიუჯეტი, საკრებულოს 21-მოწვევის სხდომაზე დაამტკიცეს. კენჭი უყარეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების პრიორიტეტების დოკუმენტსაც.

2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 20 მილიონ 792 ათასი ლარით დამტკიცდა, რაც 1 მილიონ 444 ათას 600 ლარით მეტია 2020 წლის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით. მომავალი წლის ადგილობრივი ბიუჯეტი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით იქნა დაგეგმილი. პრიორიტეტებად განისაზღვრა: ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარება–4მილიონ 965 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალური უზრუნველყოფა– 2 მილიონ 604ათასი ლარი; განათლება–3 მილიონ 352 ათასი ლარი; კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი– 3 მილიონ 239 ათას 400 ლარი; ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა კურდღელიამ საკრებულოს წევრთა შეკითხვებსაც უპასუხა, როგორც მომავალი წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმისა და პრიორიტეტების შესახებ, ასევე მიმდინარე წელს განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე. მან აღნიშნა, რომ 23 დეკემბრის მდგომარეობით, 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გადაჭარბებით 107%-ით არის შესრულებული.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია კვლავაც გააგრძელებს ისეთი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაფინანსებას როგორიცაა: გზების კაპიტალური შეკეთება, ქუჩების სარემონტო სამუშაოები, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების, სახურავებისა და სადარბაზოების რეაბილიტაცია, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება და ა.შ.

2021 წლიდან ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი დამატებით 4 ახალ სოცილურ პროგრამას განახორციელებს.

## ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით ფოთელ, ცნობილ ექიმებს, ალექსანდრე გოგინავასა და ლევან რატიანს ფოთის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭათ





ახალი COVID-19 -ის პანდემიიდან გამომდინარე, ქვეყანაში შექმნილი საგანგებო ვითარებისას გაწეული უანგარო სამსახურისათვის, ცნობილ ქართველ ექიმებს ალექსანდრე გოგინავასა და ლევან რატიანს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის გოჩა კურდღელიას ბრძანებით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭათ.

ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი ექიმ ინფექციონისტი ალექსანდრე გოგინავა 1988 წელს ქალაქ ფოთში, ცნობილი ექიმის, გია გოგინავას ოჯახში დაიბადა. ქალაქ ფოთის თეოფანე დავითაიას სახელობის 1 საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მედიცინის ფაკულტეტზე.

მედიცინის დოქტორი, ანესთეზეოლოგ-რეანიმატოლოგი, თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი ლევან რატიანი ქალაქ ფოთის ნიკო ნიკოლაძის სახელობის 2 გიმნაზიის კურსდამთავრებულია. იგი 2008წ-დან თსსუ ელექტრონული პარამაგნიტური ლაბორატორიის მეცნიერ თანამშრომელია. სამედიცინო საქმიანობასთან ერთად ლევან რატიანი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა.

ჯილდოს მინიჭების ცერემონია ონ-ლაინ რეჟიმში გაიმართა, რომელსაც ქალაქის მერი გოჩა კურდღელია, საკრებულოს თავმჯდომარე ბექა ვაჭარაძე, მერის მოადგილეები და საპატიო მოქალაქეები ესწრებოდნენ.

ქალაქ ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ მადლობა გადაუხადა ექიმებს ეპიდემიის ორივე ტალღის დროს, ჩვენი თანაქალაქელების მიმართ გაწეული თანადგომისა და ახალ ვირუსთან ბრძოლაში გამოჩენილი შემართებისათვის. ,,სწორედ ასეთი ნიჭიერი და შრომისმოყვარე ადამიანების მხრებზე დგას ჩვენი სახელმწიფო. ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, ამ პანდემიური ვითარებისას არის საიმედო ხელში. გვეამაყებით, გილოცავთ ახალ წელს, გისურვებთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანს, 2021 წელს ამ ვერაგი ვირუსის დამარცხებას" -აღნიშნა ქალაქის მერმა გოჩა კურდღელიამ.

## განათლება

## 2019-2020 სასწავლო წლის საუკეთესო პედაგოგები დააჯილდოვეს



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მოღვაწე კულტურის, ხელოვნების, განათლების მუშაკების, დამსახურებული საზოგადო მოღვაწეების, სხვადასხვა ღონისძიებებში გამარჯვებული ახალგაზრდების და სკოლის წარჩინებულ მოსწავლეთა მატერიალური წახალისების (ჯილდო) პროექტის ფარგლებში, სამუშაო ჯგუფმა 2019-2020 სასწავლო წლის საუკეთესო პედაგოგები გამოავლინა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საჯარო, კერძო სკოლების და საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ფაზისი" 2019-2020 სასწავლო წლის საუკეთესო პედაგოგებს ფულადი ჯილდო გადაეცათ.

**მაია გვასალია - თეოფანე დავითაიას სახელობის 1 საჯარო სკოლა;**
**შალვა სარდალიშვილი--ნიკო ნიკოლაძის სახელობის 2 საჯარო სკოლა;**
**მაკა იობაძე-ივანე ჯავახიშვილის სახელობის 3 საჯარო სკოლა ;**
**ეკატერინა ბოკუჩავა- 4 საჯარო სკოლა;**
**გივი ლომია- ილია ჭავჭავაძის სახელობის 5 საჯარო სკოლა;**
**ირმა ჯილოხავა- 6 საჯარო სკოლა;**
**დარეჯან ინჯგია- 7 საჯარო სკოლა;**
**თამარ ჩხენკელი- 8 საჯარო სკოლა;**
**შორენა ჭოჭუა- 11 საჯარო სკოლა;**
**ნანა სესკურია- 12 საჯარო სკოლა;**
**მანანა ტიკარაძე- 15 საჯარო სკოლა;**
**ეკატერინე კოკაია- შპს ,,გიმნაზია ;**
**ქეთევან ჯაკობია-- თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზია ;**
**ლელა ხორავა- წმინდა ნიკოლოზის სახელობის სკოლა;**
**მარიამ გვასალია-ფიზიკა-მათემატიკის სკოლა ;**
**ნანა წულაია-საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ფაზისი.**

დაჯილდოება ონ-ლაინ ფორმატში გაიმართა.

ქალაქ ფოთის მერმა მადლობა გადაუხადა პედაგოგებს გაწეული შრომისა და დამსახურებისთვის.

## ფოთის ცენტრალურ პარკში სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი სრულდება



სარეკონსტრუქციო სამუშაოების ფარგლებში მოეწყო საფეხმავლო ბილიკები, დასასვენებელი ბაქნები და საბავშვო მოედნები, გარე განათების სისტემა, ღია სასცენო ნაგებობა. ამ ეტაპზე პარკში, სხვადასხვა სამუშაოებთან ერთად, ატრაქციონების მონტაჟი მიმდინარეობს.

ცენტრალურ პარკში არსებულ ვითარებას ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია და მერის პირველი მოადგილე კონსტანტინე თოფურია გაეცნენ.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ტერიტორიის მწვანე (დეკორაციული და ხე მცენარეები) ნარგავებით შევსება, ახალი შადრევნების მოწყობა და სხვა ღონისძიებები.

ფოთის ცენტრალური პარკი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის ობიექტია. ცენტრალური პარკი ორ საუკუნეზე მეტ ხანს ითვლის და ამ პერიოდის განმავლობაში იგი ფოთელთა თავშეყრის, კულტურული და პოლიტიკური აქტივობების ძირითადი ადგილი იყო.

ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის პროექტი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია, რომლის განხორციელება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, გასულ წელს დაიწყო. პროექტის დასრულების შემდეგ ქალაქს განახლებული დასვენებისა და გართობის კერა ექნება.

## საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლები მობილური ინტერნეტის შეღავათიანი ტარიფით ისარგებლებენ.

პანდემიის პირობებში დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ საქართველოში მოქმედ სამ მობილურ ოპერატორთან - სს „სილქნეტთან", შპს „მაგთიკომთან" და შპს „ვიონი საქართველოსთან" (ბრენდი „ბილაინი") ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა, რის საფუძველზეც საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლები, შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ, 2020-2021 სასწავლო წლის ბოლომდე შეღავათიანი მობილური ინტერნეტპაკეტით ისარგებლებენ. მობილური ინტერნეტპაკეტის შეღავათიან ტარიფს მხარი დაუჭირა საქართველოს კომუნიკაციების კომისიამ.

ინტერნეტპროვაიდერები მოსწავლეებსა და მასწავლებლებს 20 GB მობილურ ინტერნეტპაკეტს 10 ლარად შესთავაზებენ, რაც სტანდარტულ ღირებულებასთან შედარებით 2,5-ჯერ ნაკლებია. დარგის ექსპერტების რეკომენდაციით, 20 GB საკმარისი ოდენობაა ერთი თვის განმავლობაში ონლაინგაკვეთილებზე დასასწრებად და ინტერნეტრესურსების მოსაძიებლად.

პროგრამით სარგებლობისთვის მასწავლებლებმა და მოსწავლეთა მშობლებმა (ან ოჯახის წევრებმა), საჭიროა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მიერ საგანგებოდ შექმნილ პლატფორმაზე http://mobile.emis.ge , მოსწავლის ან მასწავლებლის პირადი ნომრის მითითებით, დაარეგისტრირონ ტელეფონის ის ნომრები, რომლებზეც სურთ შეღავათიანი პაკეტის გააქტიურება. „დისტანციური სწავლების" ინტერნეტპაკეტი ხელმისაწვდომი იქნება ივნისის ბოლომდე.

## 4 იანვარი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის დაბადების დღეა.

### 44 წელი მძიმე ჯვარით ხელში



*საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა 1977 წელს, იგი ქართული ეკლესიის პატრიარქად აირჩია.*

*პატრიარქის აღსაყდრებით დაიწყო ქართული ეკლესიის გაძლიერება, ეკლესია-მონასტრების აღმშენებლობა, გაიზარდა ტაძრების, მონასტრების, ბერ-მონაზვნებისა და სასულიერო პირების რაოდენობა.*

*შევთხოვთ უფალს კიდევ დიდხანს ამყოფოს საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი, ილია მეორე ჯანმრთელად და მხნედ, ჩვენი ეკლესიის, ქვეყნის და ქართველი ერის საკეთილდღეოდ.*

## fizer-ის ვაქცინის პირველი დოზები საქართველოში თებერვლის ბოლომდე შემოვა!

გიორგი გახარია: მადლობა ჩვენი ქვეყნისა და პირადად ჩემს მეგობარს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს, ტედროს ადანომ გებრეისუსს საქართველოს უპრეცედენტო მხარდაჭერისთვის.



ეროვნული გეგმის შესაბამისად, ვაქცინის მიღებისთანავე ჩვენი მედპერსონალის ვაქცინაცია დაიწყება.

## რედაქციის სამადლობელი



*მადლობას ვუხდით ფოთის ელექტროკომპანიის ხელმძღვანელობას, ბატონებს-აკაკი ლომაიას, მთავარ ინჟინერს ზურაბ ჟალობინს, კომპანიის თანამშრომლებს: კონსტანტინე ღაჭავას და რეზო ქორქიას რედაქციის ელექტროქსელის უანგაროდ რეაბილიტაციისათვის.*

## 14 იანვარი საქართველოს სახელმწიფო დროშის დღეა.

აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით,ფოთის ქუჩებსა და ადმინისტრაციულ შენობებზე სახელმწიფო დროშები გამოიფინა,მათ შორის ნიკო ნიკოლაძის კოშკზე,რომელიც ქალაქის სიმბოლოა.



საქართველოს სახელმწიფო დროშა საქართველოს ეროვნული სიმბოლოა,რომელიც შემოღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე და ძალაში შევიდა საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ხელმოწერის შემდეგ 2004 წლის 14 იანვრიდან.

## 14 იანვარი ქართული თეატრის დღეა

## ხელოვნება - სულიერების სამსახურში

„თეატრი ქართველთათვის არის არა მარტო ხელოვნების ერთ-ერთი დარგი, იგი ჩვენი ერის ისტორიაა, სიამაყე და ცხოვრების ნაწილია. ქართულ თეატრს განვითარების საკმაოდ მდიდარი ისტორია აქვს.



ვულოცავ სრულიად საქართველოს, ქართველ თეატრალებს და კულტურის მოღვაწეებს ქართული თეატრის დღეს“-განაცხადა ფოთია მერმა გოჩა კურდღელიამ.

ქართული თეატრის დღეს ქალაქ ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან აკაკი დარჯანიასთან და თეატრალებთან ერთად დიდი ქართველი მსახიობის, რეჟისორის, დრამატურგისა და კრიტიკოსის, ვალერიან გუნიას ბიუსტი ყვავილებით შეამკო.



ყვავილებით შეამკეს ქართული თეატრისა და კინოს დიდი მსახიობის გურამ ფირცხალავას ბიუსტი, რომელიც გასულ წელს ფოთის ხელოვანთა ხეივანში დაიდგა.

ქართული პროფესიული თეატრი დააარსა და მისი იდეური, შემოქმედებითი მრწამსი განსაზღვრა პოეტმა და დრამატურგმა გიორგი ერისთავმა. პირველი წარმოდგენა გაიმართა 1850 წლის 2 (14) იანვარს, თბილისის გიმნაზიის სააქტო დარბაზში, სცენისმოყვარეთა ძალებით, ერისთავის რეჟისორობითა და მონაწილეობით წარმოადგინეს მისივე პიესა “გაყრა”. ეს თარიღი მიჩნეულია ქართული თეატრის აღდგენის თარიღად და XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან აღინიშნება, როგორც ქართული თეატრის დღე.

## 2020 წლის ქალაქის საამშენებლო პანორამა



ფოთში დაიწყო ახალი ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა.




ქალაქ ფოთში უეფას მესამე კატეგორიის სტადიონის ტრიბუნების მოწყობის და სათადარიგო ხელოვნურსაფარიანი მოედნის მშენებლობის სამუშაოები დასრულების ეტაპზეა.

პროექტის ფარგლებში, შენდება ცენტრალური სტადიონის სამხრეთი და ჩრდილოეთი ტრიბუნა, რომელიც სულ 2740 მაყურებელზეა გათვლილი. ასევე, დაგეგმილია ხელოვნურსაფარიანი სათადარიგო მოედნის მოწყობა. ტრიბუნის ქვეშ მოეწყობა გასახდელები, სველი წერტილები, სწრაფი კვების სივრცეები და სხვა სამეურნეო სათავსები. ასევე, მოეწყობა სპეციალური სივრცეები ტელერეპორტაჟებისთვის. სამხრეთ ტრიბუნაზე დამონტაჟდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ლედ-ტაბლო. მონტაჟდება ძირითადი სტადიონის განათების, გახმოვანების და სახანძრო სისტემები. პროექტი მუნიციპალური ფონდის მხარდაჭერით და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 5.3 მილიონი ლარია.



ფოთში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის და საცურაო აუზის მშენებლობა დასრულების ეტაპზეა.



გაიხსნა საზღვაო აკადემია, რაც იქნება ამ დარგის სპეციალისტთა მომზადების ძლიერი კერა.






**ფოთის მუნიციპალიტეტში ავტოპარკის მშენებლობა დასრულების ეტაპზეა.**

**ფოთში, პროფესიული კოლეჯი ფაზისის ტერიტორიაზე პროფესიული სწავლების სახელოსნოები შენდება**




**ფოთის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკში მასშტაბური სამუშაოები მიმდინარეობს.**





## ვერ დაგიტირეთ! ფოთოლას!

ეს მძიმე დღეები ჩემი ფიქრებით სულ შენთანა ვარ!

ვაი, რომ ვერ დაგიტირეთ!

შენ იყავი ჩვენი ქალაქის კოლორიტი, რომლის მაჯისცემა შენი სათუთი გულიდან იწყებოდა...

ვერ დაგიტირეთ!

ისე შინაგანად განვიცადეთ შენი მძმე ხვედრი, რომელიც, სამწუხაროდ ამ ეპოქამ გარგუნა...

ეს შეიძლება სიმბოლურიც იყო, რადგან ბობოქარმა კატაკლიზმებმა ვერ დაგადუმა!

საოცარი ნიჭის, დაუშრეტელი ენერგიის წინაშე, შენს ირგვლივ მყოფნი - ყველანი ქედს ვიხრიდით!

განსხვავებული და გამორჩეული ყველასგან სხვა რაკურსით ცხოვრობდი, შენს ენერგიას, სულიერ სამყაროს მომავალი თაობის აღზრდაში ძერწავდი, თითქოსდა ეს გუშინ იყო... თუმცა ძალიან შორს, მაშინ როცა №1 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მე-6 კლასის დამრიგებელი მგზნებარებით კითხულობდი როგორ ,,იწრთობოდა ფოლადი", ჩვენ კი სულგანაბულნი გისმენდით, ალბათ წიანასწარ ჭვრეტდი შენი მომავალი ცხოვრების სახეს...

შენი ნიჭის პატრონს ასპარეზი სჭირდებოდა, მაგრამ ვერ გადალახე ჩვენი ქალაქის სიყვარულით დამუხტული გული. გთავაზობდნენ, არ წახვედი იქ, სადაც უდიდესი მწვერვალები გელოდა.

თურმე შენი ცხოვრების მერანიც მიქროდა ,,სადღაც შავი ყორანი დაბუდებულიყო და გელოდა...

შენი ცხოვრების კრედოც ხომ ბედისადმი დაუმორჩილება იყო... შენი შემოქმედება ყველა სფეროში შენი სულის ამოძახილი, შფოთიანი, ხალისიანი, ბობოქარი, დაუდგომელი, ბედთან მებრძოლი...ფოთოლა!

ვაი, რომ ვერ დაგიტირეთ საკადრისად, გვაპატიეთ!

მინდა თავს მივცე უფლება და დავესესხო ვაჟას

,,ათასი ვნახეთ ვაება,
ას-ასჯერ რისხვა ციდამა,
სეტყვა, მეხი და ქარბუქი,
ყინვა, თოვლ-ჭყაპი მთიდამა,
დიდმა დარდმა და ვაებამ
დაგვაზიანა ვითარმა?"

სანთელივით ჩამოიღვენთება წლები, ვინ იცის კიდევ როდემდე გაგრძელდება ეს გაუსაძლისი დღეები, მაგრამ თაობიდან თაობას გადასწვდება შენი სახელი და შენი აღზრდილები სიყვარულითა და სითბოთი გაგიხსენებენ და თავიანთ შვილებს, შვილიშვილებს უამბობენ შენზე და ეტყვიან მათ, რომ ამ ქალაქში ცხოვრობდა ეროვნული თვითშეგნებით, ქართული ტრადიციების, ხალხური შემოქმედებისა და ლიტერატურისადმი პატივისცემის გრძნობით გამსჭვალული ერთ-ერთი უჭკვიანესი, უნიჭიერესი, ინტელექტუალურად მოაზროვნე ქალბატონი ფოთოლა ქაჯაია.

ფოთოლა მართლაც მოვლნა იყო, მეტად იდუმალი და მჩქეფარე, მასთან ურთიერთობა ჩაგაფიქრებდა და საოცარი ემოციური განწყობა დაგეუფლებოდა.

ბუნებით დაუდგრომელი, მუდამ მაძიებელი, ღვთისაგან ბოძებული ნიჭით დაჯილდოებული ფოთოლა, ოდნავ სევდიანი ცხოვრებით, ოპტიმიზმითა და მომავლის რწმენით, იყო აღსავსე...

ჩვენ ხშირად ვპაექრობდით და ჩვენი სულის დასამშვიდებლად პოეზიაში ვეძებდით შვებას.

თითქოს დავბერდით, მაგრამ შენ მაინც უამრავ საინტერესო ჩანაფიქრზე შთაგონებით აპირებდი მუშაობის გაგრძელებას და ამბობდი;

- დაღლილ თითებს ისევ ძალა ერჩით, მკერდში გული აპრილივით ფეთქავს. ისევ სწრაფად მოჩუხჩუხებს სისხლი, ძარღვებს გიჟურ მოფერებით ხეთქავს"...

ვაი, რომ წუხილს, ფიქრს, ძიებას განცდას წერტილი დაესვა...

მშვიდობით!

გვაპატიეთ, რომ ვერ დაგიტირეთ!

**ნაზი ჯინჭარაძე**

---

## კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს
## ბექან ჯალაღანია

ბექან ჯალაღანიას ცხოვრება და მოღვაწეობა ქვეყნის ცხოვრების თანაზიარია.

ბატონი ბექანი დაიბადა 1948 წლის 1 იანვარს, ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ხაბუმეში, მოსამსახურის ოჯახში. 1959 წლიდან ცხოვრობდა ქ. ფოთში. 1966 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. 1972 წელს კი ყუბანის (ქ. კრასნოდარის) სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მისი შრომითი საქმიანობა ძირითადად დაკავშირებულია შინაგან საქმეთა და სასამართლო ორგანოებთან.

1972 წლიდან იყო შს. ოჩამჩირის რაიგანყოფილების, შემდეგ შს. აბაშის საგამოძიებო ჯგუფების ხელმძღვანელი. 1975-1977 წლებში შს. ჩხოროწყუს რაიგანყოფილების უფროსი, 1977-1981 წლებში შს. ამბროლაურის რაიგანყოფილების უფროსი, 1981-1982 წლებში ფოთის ნავსადგურის მილიციის ქვეგანყოფილების უფროსი. 1982-1991 წლებში შს. ფოთის საქალაქო განყოფილების უფროსის პირველი მოადგილე, განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი. 1991-1993 წლებში საქართველოს შს. სამინისტროს შტაბის განსაკუთრებულ დავალებათა უფროსი ინსპექტორი, 1993-1998 წლებში მიავლინეს სასამართლო ორგანოებში -იყო ფოთის რეგიონული სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე, 1999 წლიდან ისევ მიავლინეს შს. ორგანოებში და 2006 წლამდე, თადარიგში გასვლამდე მსახურობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საორგანიზაციო, საინსპექციო სამსახურის უფროსად. მისი მოღვაწეობა ძირეტადად დაკავშირებულია ქალაქ ფოთთან. ე.წ. ფოთის ექსპერიმენტის მიმდინარეობის პერიოდში. როგორც შს. განყოფილების ერთ-ერთ ხელმძღვანელს გარკვეული წვლილი მიუძღვის ქალაქში საიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის საქმეში, რადგანაც წარმატებული ექსპერიმენტის ქალაქს სწორედ ასეთი წესრიგი სჭირდებოდა.

ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების დროს, როგორც შს. საქმეთა წარმომადგენელი არაერთხელ იყო მივლინებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის დასავლეთ საქართველოში (იყო შს. სამინისტროს ოპერატიული შტაბის ხელმძღვანელი ქ. სენაკში). მოგვიანებით კი ქ. ფოთში, სადაც ე.წ. ,,სადესანტო=მოიერიშე ბატალიონის" სამხედრო დაჯგუფებამ განაიარაღა ქ. ფოთის პოლიცია და ქალაქის მოსახლეობის ძარცვას მჰიყო ხელი. მას დასჭირდა დიდი ძალისხმევა, რათა შს. სამინისტროს ძალებით მომხდარიყო აღნიშნული დაჯგუფების განეიტრალება, ხოლო ადგილობრივ პოლიციას ფუნქციონირება განეახლებინა. ამასთან ქალაქის ხელისუფლება შედგომოდა თავისი მოვალეობის შესრულებას, რამეთუ მისი საქმიანობა ფაქტიურად პარალიზებული იყო.

იგი იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე. კერძოდ, ხელმძღვანელობდა ქ. ფოთის შს. განყოფილების დანაყოფებს, აღნიშნული მისიის შესრულების დროს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. რა დროსაც იყო საცეცხლე შეხებაში სეპარატიულ ბანდიტურ დაჯგუფებებთან (ერთ-ერთი საბრძოლო დავალების დროს ოსი სეპარატისტების მიერ აყვანილი იყო ტყვედ).

არჩეული იყო ჩხოროწყუს და ამბროლაურის რაიონული საბჭოს დეპუტატად.

1997 წელს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო, ხოლო საქართველოს შს. სამინისტროს ბრძანებით 1999 წელს პოლიციის პოლკოვნიკის სპეციალური წოდებები.

მინიჭებული აქვს შს. სამინისტროს დამსახურებული მუსაკის წოდება.

დაჯილდოებულია შს. ორგანოების უმწიკვლო სამსახურისთვის მე-3, მე-2 და 1- ხარისხის მედლებით, სამკერდე ნიშნით, შინაგან საქმეთა სამინისტროში წარჩინებული სამსახურისთვის.

ბოლო წლებში ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას, იყო ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბიროს



თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

ბექან ჯალაღანია ყოველთვის იყო ქალაქის საზოგადიებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში. იშვიათია ამ დარგის თანამშრომელი რომელიც ხალხს ასე უყვარდა და პატივსსცემდა, მისი ინტელექტის, პროფესიონალიზმის და კეთილშობილების გამო.

კარგი ოჯახის პატრონი, დიდებულ მეუღლესთან, ქალბატონ დოდო ჩარჩხალიასთან ერთად ხარობდა შვილებით, შვილიშვილებით.ის იყო მეგობრობაში გამორჩეული, მუდამ გვერდში მდგომი, ყვლას გაჭირვების მოზიარე, ამიტომაც დიდხანს დარჩება მისი ხსოვნა ფოთელთა გულებში.

**საპატიო ფოთელ მოქალაქეთა ასოციაცია**

---

## ადამიანი ლეგენდა
## შალვა ლიპარტელიანის გახსენება



ადამიანი იბადება ერთხელ და ერთხელ კვდება. მაგრამ განა ყველაზე ითქმის ადამიანიაო? ადამიანია ის, ვინც იბადება ღირსეულ ადამიანად, სინდისით შემკობილი, გულთბილი, სტუმართმოყვარე, თავის ერის თანამდგომი, ჭირში და ლხინში მოზიარე, თვითგანათლებული, უღალატო, სხვისი წარმატებებით გულგახარებული, სხვისთვის სითბოს მიმცემი, ერთგული, პატრიოტი. აი, ასეთი ძვირფასი სიტყვები ითქმის ამ დიდებულ ადამიანზე,შალვა (შავლეგ) ნოეს ძე ლიპარტელიანზე. დიდ მამულიშვილზე,გენიალურ თეატრალზე, სიტყვაომახიანზე, სვანეთის ბუმბერაზ მთებში გაზრდილ ყმაწვილზე, წმინდა ქრისტიანზე, მამა-პაპათა ტრადიციების დამცველზე.

ვაი ნანა, როდის ჩაგიტყდა სიცოცხლის ხიდი. ბოლომდე ვერ გადახვედი ჩემო შავლეგო. მაგრამ გამიგონია, ცუდი ადამიანი სიკვდილსაც არ უნდაო. ეს გამონათქვამი მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, რადგან პირიქით უნდა იყოს. სიკვდილი ასეთ ადამიანებს უნდა უფრთხილდებოდეს. წახვედი ჩვენგან მაგრამ, ის სითბო და მეგობრული სიყვარული, რომელიც ჩვენ დაგვიტოვე, არნახულია. როგორ მწყინს, რომ ჩვენს გვერდით არ ბრძანდებით, მაგრამ რა ვქნათ, ჩვენ სიკვდილის წინაშე უძლურნი ვართ. იგი ვერაგია და დაუნდობელი. შენ სიკვდილმა გიღალატა, მაგრამ შენ არ მომკვდარხარ. შენი სული ჩვენს ირგვლივ ტრიალებს.

48 წელი იმოღვაწე ფოთის თეატრში. მეტი აღარ დაგცალდა. მაგრამ ამ 48 წლის განმავლობაში დიდი ღვაწლი მიგიძღვის თეატრის აღორძინებაში. 70 სპექტაკლში წილად გერგო მთავარი თუ ეპიზოდური როლები. ამ თეატრში დადგმული ორი სპექტაკლი შენი რეჟისორობით დაიდგა. დიდებული თეატრალი იყავით, შენს ომახიან სვანურ ხმას ვინ დაივიწყებს, ვინ არ გაიხსენებს და არ დაგაფასებს. ქუჩაში თუ სტუმრად მასპინძელი იყავი თუ სუფრის თამადა, სპეტაკი , მომთხოვნი, კეთილი, ჭკუისდამრიგებელი იყავი. ეჰ, ჩემო შავლეგ, როგორ მწყდება გული შენისთანა პატიოსანი ადამიანი, რომ არ გვიდგას გვერდში. შენისთანა ადამიანები, არ კვდებიან. მათი სახელი უკვდავია და დიდებით შემოსილი.შენ ბუმბერაზ მთიანი სვანეთი და ფაზის ქალაქი არასოდეს არ დაგივიწყებენ. შენ იყავი ქალაქის საპატიო მოქალაქე, დარბაისელი ქართველი, მტრის დამამხობელი, მოყვასის მოყვარული და თანამდგომი. კოლხეთის დალოცვილმა ფაფუკმა მიწამ მიიბარა შენი სხეული, შენი წმინდა სული კი-უფალმა.

ღმერთმა გაცხონოს აწ და მარადის.

იძინე ტკბილად მარადიული ძილით სვანეთის მთებში გაზრდილო ყმაწვილო. გფარავდეს უფალი. ამინ!

ამაღლდება ზეცაში,
შენი სული ნათელი,
არასოდეს არ კვდება
შენისთანა ქართველი.

**რამაზ ლაგვილავა,**
**ფოთის სახელმწიფო თეატრის თანამშრომელი**
2021

# მშვიდობით თქვენო აღმატებულებავ - ბატონო პოლკოვნიკო!

## ბეჟან ქსენოს-ძე ჯალაღანიას არდავიწყებას!



საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის ფოთის საქალაქო კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ქართველ ვეტერანთა ერთობამ უდიდესი დანაკლისი განიცადა - 72 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ღვაწლმოსილი და დამსახურებული სამართალდამცავი, ქვეყანაში მართლწესრიგისა და კანონიერების აღდგენისა და განმტკიცებისთვის ბრძოლის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, საქართველოს დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებული საბრძოლო მოქმედებების აქტიური მონაწილე, სამართალდამცველთა არაერთი თაობის აღმზრდელი და დამრიგებელი, აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწე, ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქე, ფოთის საზოგადოებრივი სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილე, მრავალი სახელმწიფო ჯილდოს კავალერი, პოლიციის პოლკოვნიკი თადარიგში

**ბატონი ბეჟან ქსენოს-ძე ჯალაღანია!**

ბატონი ბეჟანის ცხოვრება ნათელი მაგალითია სამშობლოსა და მშობელი ხალხის ერთგული, უანგარო მსახურებისა, არჩეული პროფესიისადმი თავდადებისა და თავგანწირვისა.

ბატონი ბეჟანი იმ თაობის სამართალდამცველებს მიეკუთვნებოდა, ვინც 70-იანი წლების დასაწყისში დაიმკვიდრა ადგილი ქართველ სამართალდამცველთა რიგებში და თავი გამოიჩინა თავისი აკადემიური განათლებით, მაღალი ინტელექტით, კეთილშობილებითა და პატიოსნებით.

ეს სწორედ ბეჟან ჯალაღანიას, გურამ გვეტაძის, შოთა გორგოძის, ვახტანგ გვარამიას, ზიბერტ ხაზალიას, ედუარდ გენძეხაძის, გიორგი ბიჭიკაშვილის, გიორგი ნანეიშვილის, გიორგი გეგენავას, ზეიმ ტაბიძის და სხვა გამორჩეული სამართალდამცველების თაობამ შესძლო ქვეყანაში მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცება და სრულყოფა.

უდიდესია ბატონი ბეჟანის ღვაწლი სამოქალაქო ომის პირობებში სამართალდამცავი ორგანოების ორგანიზებისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლების გაწეულ საქმიანობაში, რისთვისაც მან ღირსეულად დაიმკვიდრა უნარიანი ხელმძღვანელისა და პრინციპული სამართალდამცავის რეპუტაცია.

ბატონი ბეჟანი უზომოდ იყო შეყვარებული ფაზის ქალაქზე და თავის საზოგადოებრივ საქმიანობას მისთვის ჩვეული გონიერებით, სიდინჯით, ცოდნით და ცხოვრებისეული გამოცდილებით განაგრძობდა ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიაში და ფოთის საზოგადოებრივ სათათბიროში, რასაც ხელს უწყობდა მისი მეგობრული და ღრმად ადამიანური ურთიერთობები აწ განსვენებულ სახელოვან პიროვნებებთან - ბატონ ნუგზარ ნადარაიასთან და ბატონ გერონტი კუხალეიშვილთან, ვაგლახ, რომ სწორედ ამ ადამიანების ხანმოკლე პერიოდში გარდაცვალებამ უდიდესი ტკივილი და განსაცდელი შეახვედრა ბატონ ბეჟანს...

მთელი საქართველო უდგას ფეხზე ბატონი ბეჟანის არდავიწყებას! სხვადასხვა თაობის ვეტერანები თავს გიხრით სამარადჟამო სიყვარულის, უდიდესი მადლიერების და ერთგულების ნიშნად!

მშვიდობით, თქვენო აღმატებულებავ - ბატონო პოლკოვნიკო!

მსუბუქი იყოს თქვენთვის ფაზის ქალაქის მიწა.

თქვენს ნათელ ხსოვნას გულით ვატარებთ, ჩვენო ძვირფასო ბეჟან ქსენოს-ძევ!

---

## დევნილი, სახალხო მთქმელი
## ამირან ჯგუბურია

ფოთი იყო ერთ-ერთი პირველი ქალაქი, სადაც ზღვით აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა შემოვიდა. ფოთელები თავადაც არ იყვნენ დალხენილი, მაგრამ სამშობლოში უსამშობლოდ დარჩენილ ადამიანებს გვერდში დაუდგნენ, მას შემდეგ ბარე 30 წელი გავიდა. საერთაშორისო ორგანიზაციები იხილავენ ლტოლვილთა დაბრუნების საკითხს, მაგრამ ამაოდ, სამწუხაროდ, მათი დიდი ნაწილი კვლავაც უბინაოა და ბევრი აქაურობასაც ტოვებს, ბევრიც იმედს არ კარგავს, შრომობს, წვალობს, ოჯახებს არჩენს, ბევრიც საზღვარგარეთიდან ეხმარება თავისიანებს.

ჩვენთან მცხოვრები დევნილები თავს ფოთელებად თვლიან. 30 წელი მთელი ცხოვრებაა, ერთი თაობა გაიზარდა, მირიან ჯგუბურიაც მათ შორისაა - სახალხო მთქმელი, თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული კაცი. ლექსებსაც წერს მოცლილობის ჟამს და დარდსაც იქარვებს.



დავბრუნდებით აფხაზეთში?

დღეს ჩვენ რაც გვჭირს ყველაფერი,
მოგვიტანა რუსთან ომმა,
ჭრილობები მოგვაყენა
ვით მძვინვარე მშიერ ლომმა.
ამის შემდგომ სხვაგან ყოფნით,
უდედმამო ბავშვსა ვგავდით
უნაყოფო ნიადაგში
ფესვ ნაჭრილი ია-ვარდით.
ამ დუხჭირი ცხოვრებითა
დაგვეკარგა ყველაფერი,
ასე ტანჯვა-წამებაში
ჩვენ ახლებიც გავხდით ბერი.
დაგვაშორეს ერთმანეთსა
ძმა ვერ ხედავს თავის ძმასა
ჭაბუკები, რომ ვიყავით
დღეს ვივარცხნით თეთრსა თმასა
ვინმეს სიკვდილს, რომ გავიგებთ
ვერ მივდივართ სამძიმარზე
ცრემლები, რომ გავაყოლოთ
გავაცილოთ ბოლო გზაზე
ძმაკაცს ბიძგი თუ სჭირდება
ვეღარ ვუწევთ მეგობრობას
ხვალ იქნება, თუ ზეგისთვის
ბევრი კარგავს ქართველობას.
რიგით ხალხსა ებადება
უამრავი შეკითხვები
ჩვენზე როდის იფიქრებენ
ამა ქვეყნის ლიდერები?

---

## ქ.ფოთის 1 საჯარო სკოლა მე 8 კლასელი
## ანა ერემაძე



***

გუშინ საღამოს ვფიქრობდი...
ჩემს თავს ლექსებით ვართობდი,
ლამაზ ვარსკვლავებს ვხატავდი,
ვიღაცას ჩუმად ვიხმობდი,
ცხოვრება თურმე ხრამია,
მატყუარა და ხარბია,
ვამბობდი, ლექსად ვამბობდი,
ისევ რაღაცას ვნატრობდი...
ნატვრა ნელნელა ქრებოდა,
გულში ტკივილი ჩნდებოდა,
ჩემთვის უცნობი ტექსტები
თითქოს ნაცნობი ხდებოდა,
ქვეყანა სულით მდიდარი
ისევ ღარიბი ხდებოდა,
ხალხი კი ერთმანეთისთვის’
უცხო და უცხო ხდებოდა...

***

ერთხელ, უეცრად, ვნახე სიზმარში,
სრულიად მარტო აღმოვჩნდი
ქვეყნად,
ვტიროდი, გული მშველელს
ეძებდა,..
მაგრამ მშველელი არსად ჩანდა.
უეცრად ვიღაც მოვიდა,
გულში ჩამიკრა საბრალო,
ისეთი სითბო გადმომცა,
გულს მოეფინა მალამოდ.
ვიგრძენი მარტო არა ვარ,
რომ ჩემთან სიყვარულია,
რომ ღმერთის ნებით ვარსებობ,
მთავარი წრფელი გულია.
გამომეღვიძა კვლავ ვგრძნობდი,
ის ჩემთან იყო, მათბობდა,
ფანჯარასთან კი მერცხალი
ულამაზესად გალობდა.

---

### სევდიანი მონატრება

# ბადრი ბასილაია: მე მართლაც კარგი დები მყავდა

## ეთერი ბასილაია 3 თებერვალს 90 წლის გახდებოდა



ეთერი-90

ადამიანები უკვდავები არა ვართ, ამიტომაც ბედს უნდა შევურიგდეთ, მაგრამ ვიდრე ცოცხლები ვართ, იმათ ხსოვნას უნდა მმივაგოთ პატივი, ვინც ჩვენს ყოფნას ალამაზებდა, ჩვენზე ზრუნავდა, სიცოცხლეს გვიხალისებდა.

საოცარი წლები იყო, სიყვარულით გამთბარი, მე - ერთადერთ ძმას ჩემი დები ყოველმხრივ მანებივრებდნენ და მაშინდელ ჩვენს პატარა სახლს არ აკლდა დიდი სტუმრობა. ჩემს მეგობრებს პატარა საბაბიც ყოფნიდათ, ისე მოუხაროდათ, რამეთუ კარგი მასპინძლობა და გულღია დახვედრა ელოდათ, დღეს რომ ასე ძალიან გვენატრება. რა ბედნიერება იყო, მშობლები, შვილები ერთ ბუდეში ვიყავით. მერე, ჩემი დები დაფრთიანდნენ, ოჯახები შექმნეს, მაგრამ მე არ მივიწყებდნენ, ყოველმხრივ მეხმარებოდნენ, მე კი მხოლოდ სიყვარულის დაბრუნება შევძელი. ისინი ჩემთან არიან დღესაც, მათ ყოველ დაბადების დღეს ავღნიშნავ, მეგობრებთან და ახლობლებთან ერთად. ბიბლია გვამცნობს, ,,სამშობლო იწყება, არა მაშინ, როდესაც ადამიანი იბადება, არამედ, როცა კვდება. სამშობლოს განცდა საფლავებით იწყება”. ამიტომაც სჯობს სიკვდილის დღე დაბადების დღეს. ისინი ვალმოხდილი წავიდნენ ამქვეყნიდან, არავის ვალი არ მიჰყვებათ, პირიქით, ჩვენ გვაქვს მათი ვალი და ვცდილობ ხსოვნით გადავუხდო, სხვა გზა არ არის.

სიცოცხლე კაცად ყოფნის სევდა ყოფილა, მე ისევ თქვენს ძველ სახლს ვპატრონობ, მუზეუმად ვაქციე-ცხოვრების დიდ მუზეუმად. სადაც ყოველ დღე მოწიწებით თავს გიკრავთ და ვეფერები კედლიდან მაცქერალ სურათებს.

წლს ჩემი უფროსი და გამზრდელი და ეთერი 90 წლის გახდებოდა. ნეტავი წამოაყენა და ისევ ძველებურად შეგვახვედრა, თუნდაც ერთი დღით, როგორ გაიხარებდნენ მისი დიდებული შვილი, მისი მეუღლე და შვილიშვილები.

სხვა რა დამრჩენია, ჭიქა ღვინო და საფლავთან მიტანილი ყვავილები.

## პოეზია

### ოდაბადე!

უფრო ხშირად მესიზმრება,
კუთხე, ჩემი ოდაბადე,
ვაკვირდები დრო და ასაკს,
დამიგროვდა „ორაგადე".
იქ ბავშვობა, სკოლის ეზო,
ყრმობის საძმო ალალი,
ჭუჭყი არა, სუფთა გული
და ზნეობა მაღალი!

### დრო

დროს ბევრს არ ველოდები,
ბევრი დამიხარჯია!

## *ნაპო თოდუა*
## *ცნობილი მეჭურჭლე და სახალხო მთქმელი*

რა შევქმენი ღირებული,
სად გავწიე ხარჯია,
ვერ ვკისრულობ ამის პასუხს,
აქ უფალი მსაჯია!!

### არ ველოდი!

ამის სიკვდილს არ ველოდი!
ეს ასაკი გადავლახე,
ცხოვრების ამ ჯახირში
ცუდიც ვნახე, კარგიც ვნახე!
გამიმართლა წინათგრძნობამ,
ყველა მახე დავინახე,
რაღა მექნა, თავს ვიცავდი!
და ვიხმარე დროზე სახრე!

### თეატრია!

ეს ცხოვრება თეატრია,
ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენი როლი,
მოხერხების ნიჭის პატრონს
კარში გააქვს გოლზე გოლი!
უნიჭომ და მაჩანჩალამ
ქე აუშვა კვამლი, ბოლი!
თუმც ფინალი ამ ცხოვრების,



ყველას ერთნაირია!
აქ ვერ ფასობს ვინ იყავი,
გენიოსი თუ მწირია.



## ალექსანდრე რუსია

* * *

დღეს თუა ზარზმა...
თუა გელათი
შენც სიყვარულის თასმა დაგლია
სევდით მონაქროლ ქართაგან ღმუილს
რომ ჯავრით გულმა თან მით გასწია.
არ მოვა თუ ის გაზაფხული?!
რადგან ნატვრებით დახუნძლულია
და ნატვრაც, ალბათ, იმ ერთს ფერავდა
რომელსაც ცაზე ღიად უვლია.
დედას ვიფიცებ!- დღეს შენი სახით
წმინდა სამსხვერპლოდ-ჰო-ენირიათ!

* * *

რაც სურდა ჩქეფდა?!
ძლიერ წვიმაში იმ ერთ წყვილს
თქვენს ჭრელ ქოლგებზე უძრავად ეთქვა
არა, არიყო სათქმელი მაინც
მაგრამ სიყვარულს სიჩქარე ეშვა.
წვიმდა და... მეხლეურჯ ციდან
ოქროსფრად, წვიმდა...
მზე მეგულება თუ როგორ ახლო
ხმაურით მეთქვა... წვიმდა...
მზეს ციდან ხერავს ღირებული, ცივა
და ვეზიარებ მწუხარეს ფხიზლად
რომ გულის ხალისს გამოკალდეს
სიანცე სხივთა...
და თუ რაც ითქვა, სიყვარულს უთქვამს,
დღე არ გადავა, მზის სხივთან წვიმამ
არ განმიცხადოს სათქმელი სიტყვა.

* * *

### ქეთევან დედოფალი

არვის ჰგავდა აროს,
_ შავ დედოფლად გვერქვა,
მაგრამ სული თვისი,სისპეტაკით ენვათ ,
რომ გულია მისი,უმანკობით ცისებრ,
სასუფეველს ეპყრა ...
რის საქართველოს ,დედოფალო !
_ ტინად მდგარო ,იღბალო ,ხვედრო !
ყულთდასაწვდომო,მომგულევლო
~ სპარსთა დროებავ !
ვაჰ ,ტურფა მიწავ,სანატრელო ,გულსაკიდო,
შენივ ქვეყნისა,უდრეკო მეხლო,გონდართულო მოთ-
მინებითა ... და ვერას გძლია,მარწუხებმა მო-
მაწვავებმა, თვით შაჰ-აბასის,უგუნობამ , უსი-
ჯულოებამ ...
სანამებელში გარდამხდარო,ცეცხლო ,ცეცხლ-
ზედა
_ მკერდგადამწვარო _ თვალთდავსილნო, ქვეყნის
მშვენებავ
_ ვერ მოერეო, საქართველოს
მზაკვრად,მტრობელნო და დედოფალი,ქეთევანის !
_ ბაგეს ვერმძლეო !
ქარი იყო ,თუ ქარს მიჰქონდეს,დღე შავ -ბედისა,
ცეცხლის აღგზნების ,შიში ანი,
არ აქვს ,ქართველსა !!!..
თვალი სუნთქავს,ბივრიტისა _ შენ რომ
უდრეკ იყავ.
არვინ გჰკადრა ,შესამოსლით შეძარცვა !_ არა !
_ შენ ურცხვად არ გეთქვა.
შავად - შავი ფერის კაბა,გწვავდა ცეცხლად
...დაშანთული , გული შენი მკერდთან !
ვაჰ, ჭიდილით ... მძიმედ სწვავდა,სხეულს ...- და
იხსნიდი საქართველოს ,სვესა !
მართალთ გულებს,უკანასკნელ ამო-
სუნთქვით , _ სპარსმა ! ხელით
გწვდა,რომ მით,მოგესწრაფა.
ბოლო სიტყვაც ,უდრეკ იყო თქმული
...
_ არასოდეს !
..._ და ნატრობდი
ღმერთთან,ამოგხვლოდა სული !
შებრალება რჯულთან ?! _ არ უკადრა,
ღმერთსა !
..._ და შენ ის ხარ, თვით უკვდავი
,მეფედ მზისა, მანათობელს როგორც
გეტრფი,მძლესა !
_ "მამებრ სძლია, მდედრმა ! უბე
ბუნებითა !!!"
შენ გამოსჩნდი,რჩეულებით ... _
მიყვირება ,ერთიც ,
რომ სულიც და ხორციც უცილობლად
სცხონდა ...
წამებულის სხეულს,ნათლის სვეტი
ესხა ,_ ფრთაგამოწვდილ სევდად ...
ხოტბაც შენ ხარ ჩვენი,
დედოფალო შენივ,დიდი მოთმინე-
ბით !

* * *

შენ რომ გიყვარდა ,იმ შეხვე-
დრებით იწვიმა ციდან და მერე
ურცხვად,ამოგორდა ზღვიდან,ნათელი
მზისა !
... ჩვენ რომ შემოვხვდით ,დღეს
ერთმანეთს,იყო წარსული და
განშორება,ჰყოფილა დღისა ,_ ახალი
დღისა ...
საწყისი ცრემლის, იმ წუხანდელი
გათენებისა.

## *ლევთერ ჭოჭუას დღიურიდან*



**მეგრული „შუტკა”**

თბილისის „დინამოს” ლეგენდარული მეკარე ოთარ გაბელია იხსენებს: 1979 წლის 11 აგვისტოს საბჭოთა კავშირის თასის ფინალში მოსკოვის დინამოს მათ მოედანზე, საბჭოთა კავშირის დედაქალაქში-მოსკოვში მოვუგეთ. ძირითადი და დამატებითი დრო, ფრეთ დასრულდა და ჯერი პენალტებზე მიდგა. პენალტების სერიის დაწყების წინ პირჯვარი გადავისახე, თავი რომ ავწიე, ვხედავ, რომ ტელეკამერა პირდაპირ ჩემზე იყო მომართული და ეს რელიგიური ჟესტი მილიონობით საბჭოთა მაყურებელმა პირდაპირ ეთერში იხილა. მაშინ ღმერთის რწმენა ფაქტობრივად იდევნებოდა და ჩემი საქციელი სულ ცოტა კასაკიცხი იყო. მოკლედ გაზაევის პენალტი ავიღე, თასი თბილისში ჩამოვიტანეთ და მთელი საქართველო გავახარეთ. გამწარებულმა რუსებმა კი ცეკიდან თბილისს მოსწერეს ჩემზე: „გაბელიას ღმერთმა უშველა თუ ოსტატობამო”...ერთი სიტყვით, კომკავშირული ხაზით ჩემს დასჯას მოითხოვდნენ. მაშინ კომკავშირის დასჯას ცეკას პირველი მდივანი სულმნათი ჟიული შარტავა იყო. ის შემხვდა და მითხრა:-მოდი მეგრული „შუტკა” მოვიგონოთ და მოსკოვში მივწეროთ, რომ თითქოს პენალტების სერიის წინ პირჯვარი კი არ გადაიწერე, უბრალოდ მსგავსი მოძრაობით სახიდან ოფლი მოიწმინდეო.მივწერეთ, რუსებმა დაიჯერეს და არავის დავუსჯივარ, თუმცა ვიდეო ჩანაწერი რომ გაიმეორეს ჩემი პირჯვარის გადაწერა კადრიდან ამოჭრილი იყო.

***

### ისევ მოვა გაზაფხული

როცა მწვანით შეიმოსა
ჭადრის ყველა ტოტები,
მაშინ გულში ჩამესახა
სიყვარულის ყლორტები,
შემიყვარდა ჭადრის ჩრდილი
და ტოტების შრიალი,
გული სიამით მიძგერდა
ვიყავ მისი ტრფიალი.
ის კი იდგა თავმომწონედ
ტოტი ზევით ეჭირა,
მე კი მინდოდა მის ტოტებქვეშ
ჩრდილში მშვიდად მეძინა.
მაგრამ დადგა შემოდგომა,
ფოთოლცვენა დაიწყო,
ჩემი ფიქრი და ოცნება
ქარმა სადღაც წაიღო,
ისევ მოვა გაზაფხული,
ისევ ჩემი ოცნება,
ჭადრის ტოტი სხვა ფოთლებით
ისევ შეიმოსება

## შობა-ახალ წელს ვულოცავ



ქართული ჟურნალისტიკის პატრიარქებს, რესპუბლიკის დამსახურებულ ჟურნალისტებს ზურაბ აბრალავას და ვანო ნარმანის ვულოცავ შობა-ახალ წელს, კალანდას.

დაე, კიდევ დიდხანს ემსახურონ ქალაქსა და ქვეყანას მათი სამართლიანი კალმითა და ოსტატობით.

ნანი მიმინოშვილი

# სპორტი... სპორტი... სპორტი... სპორტი... სპორტი...

## ფეხბურთის მოყვარულთა გუნდ ,,ჭაბონამას ვულოცავთ მორიგ გამარჯვებას

ძალიან დრამატულ მატჩში ჩვენმა გუნდმა შეძლო და 11 მეტრიანების სერიაში მოიპოვა საქართველოს თასის ტიტული ისტორიაში მესამედ.
ჭაბონამა მოყვარულთა ლიგის ყველაზე ტიტულოვანი გუნდია



## 24 იანვარს გაიმართა საერთაშორისო გუნდური ონლაინ ტურნირის ,,Championship League" -ის 2020-21წ სეზონის მესამე ტურის მატჩი.

ფოთის საჭადრაკო კლუბი "ნანა"დაუპირისპირდა შეფილდის უნივერსიტეტის საჭადრაკო კლუბს.
ჩვენმა გუნდმა დამაჯერებელი ანგარიშით 7,5 : 2,5 მოიპოვა გამარჯვება.
ფოთელთა კლუბის ღირსებას იცავდნენ აკაკი ყალიჩავა, დიანა ლომაია, ელენე წოწონავა, კახაბერ კიზირია, თეიმურაზ კვიკვინია.

## 1 თებერვალს ფოთის საჭადრაკო კლუბში ჩატარდა ღია ტურნირი ელვისებურ ჭადრაკში.

ტურნირში მონაწილეობდა 26 მოჭადრაკე. საპრიზო ადგილებზე გასული მოჭადრაკეებისთვის დაწესებული იყო ფულადი პრიზები.



9 შესაძლებლობიდან 8 ქულით პირველი ადგილი მოიპოვა დიანა ლომაიამ. 7-7 ქულით 2-4 ადგილები დაიკავეს და დამატებითი მაჩვენებლებით სატურნირო ცხრილში შემდეგი თანმიმდევრობით გადანაწილდნენ გიორგი ღლონტი, დათო კოდუა და კახაბერ კიზირი

პანდემიასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის გამო ტურნირი ჩატარდა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი რეგულაციების დაცვით.

## ნოდარ ადამის-ძე ჩაკვეტაძის არდავიწყებას!

შვილო ტანჯულის ქვეყნისა,
ცრემლი მიგყვება ხალხისა,
მიუხვალ მამა-პაპათა
ამოღებული ხანჯლითა!



საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის, აფხაზეთის მეომართა კავშირის და ვეტერანთა კავშირი „ფაზისი-დიოსკურია"-ს გამგეობა და წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 68 წლის ასაკში გარდაიცვალა სახელოვანი ქართველი კაცი, საქართველოს დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და ერთიანობისათვის თავდადებული მებრძოლი, ღირსეული მოქალაქე და მამულიშვილი - ბატონი **ნოდარ ადამის-ძე ჩაკვეტაძე**.

ენგურსგაღმა საქართველოს კიდევ ერთი ღირსეული შვილი ამაღლდა ზეცად და თან წაიღო თავისი სათაყვანებელი სამშობლოს და საყვარელი აფხაზეთის ტკივილი. ვერაგმა და მუხანათმა ავადმყოფობამ აჯობა და წარგვტაცა ჩვენი ტკბილი, თბილი და გულისხმიერი მეგობარი და ამავდროულად ქვეყნის შეუდრეკელი რაინდი, ვინც სამშობლოს განსაცდელის პირველი დღიდან ხელში აიღო იარაღი და ქვეყნის სხვა ღირსეულ ქალიშვილებთან და ჭაბუკებთან ერთად თავგანწირვით იბრძოდა სამშობლოსათვის. თვალცრემლიანი იტყოდა ხოლმე ნოდარ ბატონი - „ვწუხვარ, რომ ჩემს ლომგულ ძმებთან ერთად არ დავეცი ბრძოლის ველზეო, რამეთუ უაფხაზეთოდ, უსახლკაროდ, წინაპართა საფლავების გარეშე, ჩემს სიცოცხლეს ფასი არა აქვს"-ო. არც ბატონ ნოდარს და არცერთ სხვა ღირსეულ მამულიშვილს ის ომი არ წაგვიგია! მტერმაც და მოყვარემაც ნახა ქართველი კაცის შეუდრეკელი სული, მისი არნახული გმირობა სამშობლოსათვის ბრძოლაში და თავგანწირვა, რის მაგალითსაც ბატონი ნოდარი თითოეულ ჩვენთაგანს გვანახებდა!

ვაგლახ, რომ გარდუვალია სიკვდილი და ის არის აუცილებელი გზა ადამიანის ზეცად ამაღლებისა!

შენ მხოლოდ გარდაიცვალე, ბატონო ნოდარ, რათა ზეცად ამაღლებიდან მე-40 დღეს დამკვიდრდე მარადიულ სასუფეველში, იქ სადაც მართალნი განისვენებენ, სადაც შენს მიწიერ ტკივილს დაგიამებენ შენი უსაყვარლესი მეუღლე - ქალბატონი ციალა დავითულიანი, შენი ანგელოზი ქალიშვილი, ბრძოლაში გმირულად დაღუპული შენი ძმები და შენი თანამებრძოლები.

შენი ზეცად ამაღლება ქვეყნის უდიდესი განსაცდელის პერიოდს დაემთხვა... მთელი ერი დარაზმულია უხილავი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში და სწორედ ამიტომ ჯეროვან პატივს ვერ მიგაგებთ უკანასკნელ გზაზე გაცილებისას, ჩვენო ძმაო!

ხვალ ფაზის-ქალაქის მიწა ჩაგიხუტებს და გულში ჩაგიკრავს შენი კარგი კაცობის,კარგი ძმობის და სიყვარულის ნიშნად... შენი მეომარი ძმები ხვალ შენს საფლავთან გარინდულები ჩავმწკრივდებით, თვალცრემლიანები მხედრულ სალამს უკანასკნელად მოგიძღვნით, გულზე მიწას დაგაყრით და შემოგფიცებთ, რომ ჩვენი საოცნებო გამარჯვების შემდეგ საფლავიდან ამოგასვენებთ, მხრებზე შეგისვენებთ, ენგურს გაღმა გადაგასვენებთ და შენს საგვარეულო სასაფლაოზე დაგასვენებთ!

მშვიდობით, ჩვენო ნოდარ! დიდი წინაპრის სიტყვებით გაცილებთ მარადიულობისკენ სავალ გზაზე - „მიდიხარ, ტკბილი გქონდეს მგზავრობა!"

---

*საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის ფოთის საქალაქო კავშირის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 85 წლის ასაკში გარდაიცვალა კავშირის ერთ-ერთი უხუცესი წევრი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერანი მუშაკი, პოლიციის თადარიგის მაიორი*

***ანზორ ალექსანდრეს ძე მილორავა***

*და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.*

---

*ჩემო ლელა და ბავშვებო,*
*თქვენთან ერთად დავსტირი ცხარე ცრემლებით თქვენს დედიკოს.*
*მგონია* ***ფოთოლას*** *სიკვდილით რაღაც გაჩერდაო ცხოვრებაში. ფოთელებს დიდხანს ემახსოვრებათ მისი მოუსვენარი სული და ბუნება, ნაამაგარი და ნაღვაწი კი გადაეცემა თაობებს.*
*მშვიდობით დიდებულო ადამიანო!*

***ომარ ხუხუნი***

---

*ეკა და გოგი გუდავაძეები ოჯახით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფოთის საპატიო მოქალაქე, დამსახურებული საზოგადო მოღვაწე*

***ბექან ჯალაღანია***

*და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.*

---

*საპატიო ფოთელ მოქალაქეთა ასოციაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ფოთის საპატიო მოქალაქე, პოლიციის თადარიგის მაიორი,*

***ანზორ მილორავა***

*და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.*

---

*ქალაქ ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის კოლექტივი და ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბირო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანამშრომლის ნანა ჯანაშიას დედა,*

***ინეზა ალექსანდრეს ასული ქანთურია-ჯანაშია***

*და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.*

---

## ტიტიკო (ტიტე) ლეფსაიას ხსოვნას!



საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობა და წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან რომ 81 წლის ასაკში ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ღვაწლმოსილი მუშაკი, სამართალდამცველთა არაერთი თაობის აღმზრდელი და დამრიგებელი, საქართველოს თავისუფლების, ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საომარი მოქმედებების აქტიური მონაწილე, ქვეყანაში მართლწესრიგისა და კანონიერების დამკვიდრებისათვის მუშაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, იურიდიულ მეცნიერებათა ასოცირებული პროფესორი, მრავალი სახელმწიფო ჯილდოს კავალერი, საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე - თბილისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე, პოლიციის თადარიგის პოლკოვნიკი, ბატონი
**ტიტიკო (ტიტე) კალისტრატეს-ძე ლეფსაია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

*საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 96 წლის ასაკში ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კავშირის ერთ-ერთი უხუცესი წევრი, მეორე მსოფლიო ომში თავდადებული შრომისათვის გამორჩეული პიროვნება, ღირსეული მანდილოსანი - ქალბატონი*

***თინა იოსების ასული სიჭინავა***

*და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.*

---

***ნომრის სპონსორია აგრალური ბაზრის გენერალური დირექტორი, ცნობილი ქველმოქმედი და მეცენატი ნოდარ კორსანტია. რისთვისაც მადლობას ვუხდით მას.***

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში"
E-mail: k.khobalia@gmail.com
რედაქტორი ზ. აბრალავა